№ 257 დეკემბერი 6, სამშაბათი 1888 დეკემბერი 6, სამშაბათი № 257

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. 1877—1888

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს 8 დეკემბერს.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

ქუთაისში: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარდა მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა

## წლიური კრება

დანიშნული 20 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამის გამო ხელ-მეორედ კრება დანიშნულია 6 დეკემბერს, დილის 11 საათზე, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

ტფილისი, 5 დეკემბერი

წარჩინებულს მინისტრს ინგლისისას ლორდ სალისბერს, ამ შესანიშნავსა და დახელოვნებულს პოლიტიკოსს, რომელსაც დიდი ზედმოქმედება აქვს არა მარტო ინგლისის პოლიტიკაზე, არამედ ევროპისაზედაც, ერთი დიდი განსაცდელი შემთხვევია ამ დღეებში. ეს განსაცდელი ისე დიდია, რომ ლამის არის ამ გამოჩენილს კაცს ხელიდგან გააგდებინოს ინგლისის პოლიტიკის გამგებლობა. რა არის ეს განსაცდელი, რომელმაც სალისბერიც-კი ძლიერ შეარყია? ეს განსაცდელი არც რაიმე პოლიტიკური მანქანებაა და ოსტატობა სალისბერის მტრებისა და უცხო დიპლომატებისა, არც რაიმე საპოლიტიკო შეცდომაა და სხვანი. მაშ რა მიაყენა ეს დიდი განსაცდელი გამჭრიახსა და გონიერს კაცს, გამგებელს მეთაურის ქვეყნისას? მხოლოდ ერთმა სიტყვამ, მოუფიქრებლად წარმოთქმულმა და იქნება უნებურადაც წამოცდენილმა. ამ ერთმა სიტყვამ შეარყია სალისბერის ძლიერება და შესძრა და ყალხზე შეაყენა მთელი ინგლისი და ინდოეთი. რა იყო ეს ძლიერი სიტყვა, რომელმაც მთელი მწერლობა აალაპარაკა და აალელვა? არ იფიქროთ, რომ სალისბერის უცაბედად გამოქლავნებინოს რომელიმე საპოლიტიკო საიდუმლო და განზრახვა ინგლისისა და ან ამ სიტყვით უპატიურება მიეყენებინოს ან ინგლისისა და ან სხვა რომელისამე სახელმწიფოს ღირსებულობისათვის. არა, არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არ მოსვლია და არც მოუვიდოდა გამოცდილსა და გამჭრიახს პოლიტიკოსს.

მაშ რა იყო ეს საკვირველ-მომქმედი გრძნეული სიტყვა, რომელმაც ბეწვის ხიდზე უნდა გაატაროს სალისბერი? ეს სიტყვა ის იყო, რომ სალისბერიმ უკადრისობა მიაყენა ერთს ინდოელს მოღვაწეს, დობადბაი ნაროჯს. ედინბურგში სალისბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და ამ სიტყვაში უმართებულოდ მოიხსენია ნაროჯი. სალისბერიმ სთქვა: კონსერვატორის ბრუსის გამარჯვება არჩევანზე დიდი გამარჯვებაა ჩვენის დასისა; ეს გამარჯვება უფრო დიდია, ვიდრე ის გამარჯვება, რომელიც 1886 წელს მოგვიხდა, რადგანაც მაშინ ტორიების კანდიდატის მოწინააღმდეგედ იყო „ვიღაც შავკანი“ (ესე იგი ინდოელი ნაროჯი). ამ სიტყვებით სალისბერიმ მედიდურად და უმართებულოდ მოიხსენია ნაროჯი, მხოლოდ იმიტომ - რომ ნაროჯი ინდოელია და არა ინგლისელი. ამ ამბავმა, როგორც ვსთქვით, მთელი ინგლისი და ინდოეთი შესძრა. თვით ინგლისში სალისბერის მტერ-მოყვარე იმას ამბობს, რომ სალისბერის არ უნდა გაეუპატიურებინა ინგლისის დედოფლის ქვეშევრდომი; რომ ინდოელი დღეს ინგლისელის თანასწორი მოყმეა და ამისათვის უმართებულოდ და უკადრისად მოხსენება ნაროჯისა ყოვლად შეუწყნარებელი ცოდვააო. ამ სიტყვას, ამბობენ ისინი, შეუძლიან შეურაცხჰყოს და გული აუყრევინოს ინგლისზე მთელს ერს ინდოეთისასაო. ინდოელმა მწერლობამაც ასტეხა ამ საგანზე ლაპარაკი და ის აზრი წარმოსთქვა, რომ ძნელად დასაჯერებელია, გამჭრიახსა და დახელოვნებულს პოლიტიკოსს ესეთი უკადრისი სიტყვა წარმოეთქვა. თუ სალისბერიმ მართლა წამოისროლა ეს სიტყვა და ამით შეურაცხჰყო მთელი ჩვენი ერი, საჭიროა ეს ოფიციალურად გამოაცხადონო. აგრეთვე ამბობენ, რომ თვით ინგლისში ზოგიერთთ განზრახვა აქვსთ პალატას წარუდგინონ ეს საქმე განსახილველადაო. ერთის სიტყვით, ამ ერთს სიტყვას ისე გაუმწვავებია ინგლისი და ინდოეთი, რომ სალისბერის მდგომარეობა მეტად საძნელო და საფიქრებელია.

როგორც ჰხედავთ, მხოლოდ ერთმა უკადრისმა, მედიდურმა სიტყვამ გამოიწვია ეგოდენი უსიამოვნება, ბასსი და ლამის არის სამსახურიდგან გადააყენოს სალისბერი. რასაკვირველია, იქ, სადაც სიტყვას ბაჟი არ ადევს და სადაც ადამიანის, ერის შეურაცხყოფა და ცუდად ხსენება ჩირადა ფასობს, ეს ამბავი მეტად გაუკვირდებათ: როგორ თუ ერთმა სიტყვამ, უკადრისი და უმართებულოც რომ ყოფილიყო, თუნდაც მთელის ერისადმი მიმართულმა, განსაცდელი უნდა მიაყენოს წარჩინებულს კაცს, მთელის ქვეყნის მეთაურს? ინდოელი მოღვაწე, რაც უნდა ცნობილი ვინმე იყოს, ისეთი ვინ არის, რომ იმისთვის ინგლისის საზოგადოებამ რამე აწყენინოს თავისს წარჩინებულს შვილსა და წარმომადგენელს და ან თვით ინდოეთი ისეთი რა არის, რომ ერთის უკადრისის სიტყვისათვის ყალხზე შესდგა და თხოულობს, რომ ეს უპატიურება ინგლისმა როგორმე გამოიხსნას და იგი სიტყვა საქვეყნოდ გადაათქმევინოს სალისბერისაო?

დიაღ, ეს საქმე რომ იქ მომხდარიყო, სადაც არც ადამიანს, არც ერს და არც სიტყვას პატივი არა აქვს, სწორედ ასე იფიქრებდნენ, მაგრამ იქ-კი, სადაც ადამიანისა და ერის ღირსება დაცულია და პატივცემულია, სადაც სიტყვა ოქროდ ფასობს, იქ-კი ასე არა სჯიან და სწორედ ამითი აიხსნება, რომ სალისბერის ერთმა უმართებულო სიტყვამ ეგოდენი შფოთი გამოიწვია. ინგლისში კარგად იციან და დიდი ხანია შეგნებული აქვსთ, რომ ადამიანის ღირსება გვარ-ტომობაზე არ არის დამოკიდებული და რომ ენა იმისათვის-კი არ მიუნიჭებია ბუნებას ადამიანისათვის, რომ სიტყვები წარა-მარად წამოასროლინოს. სწორედ ამიტომ არ დაუთმო ინგლისმა სალისბერს ერთი უმართებულო სიტყვა, რომლითაც გამოჩენილი პოლიტიკოსი შეეხო ადამიანის ღირსებას და შეურაცხჰყო მთელი ერი. ინგლისის საზოგადო აზრი იმდენად გაწვრთვნილი და ძლიერი არის, რომ, როგორც სჩანს, არავის და არას დროს არ დაუთმობს თანამოძმის შეურაცხყოფას და გათელვას, და ეს იმას გვიტკიცებს, რომ თავისუფალი საზოგადო აზ-

## ფელეტონი

### მოგზაურობა

უცხო კაცისა კავკასიაში.

ამ წლის სექტემბერს ლონდონში დაიბეჭდა წიგნი, რომლის სათაურიც ჩვენ ზემოდ ამოვწერეთ. წიგნში აღწერილია მოგზაურობა ახალგაზდა ინგლისელის ბ-ნ ოლივერ უორდროპისა, რომელიც შარშანა ყოფილა საქართველოში და დაუვლია ჩვენი ქვეყანა. გარდა ავტორის შენიშვნებისა, როგორც მგზავრისა, წიგნი შეიცავს მოკლე ისტორიას საქართველოსას, ჩვენის მწერლობის განხილვას და ჩვენს პოლიტიკურს მდგომარეობას. წიგნი საკმაოდ მოზრდილია და მდიდრულადაც არის დაბეჭდილი. შიგ ჩართულია სურათები ტფილისისა, სიღნაღისა, დარიალის გასავლელ გზისა, კავკავისა და სხვა ადგილებისა. დახატულია ჩვენებური მოჭიდავე, ფეხ-შიშველა, გულ-გახსნილი, დამკლავებული და ღონე-შემოყრილი. სურათი გაგონებთ მოჭიდავე ქსებუას. არის სურათი ქართველ კაცისა, რომელსაც ქართულად აცვია. როგორც ჩვენის გაზეთიდამ გეხსომებათ, ამ წიგნში დახატულნი არიან აგრეთვე ზოგი ისტორიული მოღვაწენი ჩვენის ქვეყნისა, მაგალითად წმ. ნინო, თამარ დედოფალი და მეფე ერეკლე. თანამედროვე მოღვაწეთაგანაც ჩაურთავია სამი სურათი — ყოვლად უსამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზისა, ბ-ნ ილია ჭავჭავაძისა და ბ-ნ ივანე მაჩაბლისა.

მკითხველს არ გაუკვირდება, რომ მე ასე ვრცლად ჩამოვთვალე სურათები ამ წიგნისა. რას მიბძანებთ, ბატონებო, ჩვენ ისე უყურადღებოდ ვართ მივიწყებულნი საკუთრივ ჩვენგანაცა და უცხოელთაგანაც, რომ მართლა რაღაც სასწაულად მისაჩნევია, როდესაც გვახსენებს ვინმე, ავად იქნება თუ კარგად. არც იმას გაიკვირვებთ, რომ გაცნოთ ავტორის სხვა-და-სხვა შენიშვნები ჩვენის ქვეყნისა და ხალხის შესახებ. წიგნი ლამაზად არის დაწერილი და იმითი უფრო საყურადღებოა, რომ ბევრი რამ ავი თუ კარგი არის შენიშნული, რომელსაც გაუწვრთვნელი მოგზაური ყურსაც არ ათხოვებდა. ამიტომაც ამ წიგნის წაკითხვა სასარგებლო იქნებოდა, რადგანაც ჩვენი მკითხველი დაინახავდა, რასა აქვს ფასი ჩვენს მხარეში ევროპელთათვის, რა მოსწონთ ჩვენი და რას გვიწუნებენ. ჩვენის თვით-ცნობისათვისაც ძალიან დიდი რამ არის ევროპელთა აზრის შეტყობა და გაგება.

**

რამდენად ძვირფასი უნდა იყოს ეს წიგნი, მკითხველს შეუძლიან დაასკვნას იმითი, რომ პატივცემული ავტორი არ დასჯერებია მარტო იმას, რაც თავისის თვალით უნახავს და რაც გაუგონია. ბ-ნ უორდროპს ბოლოში ჩამოთვლილი აქვს იმდენი თხზულება საქართველოსი, რომ დათვლაც-კი მოგწყინდებათ. წარმოიდგინეთ, რომ ამ თხზულებათა სია, წვრილ ასოებით დაბეჭდილი, ძლივს მოთავსებულა წიგნის ოც-და-ექვს გვერდზე! თქვენ ჰხედავთ აქა ბერძნულსა და ლათინურს ნაწერებს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულსა და რუსულს თხზულებებს და სხვ.

ამდენის მასალის განხილვისა და შესწავლის შემდეგ ავტორი ბოლოს იხდის მკითხველებთან შემდეგის სიტყვებით: „მე კარგადა ვგრძნობ, რომ ჩემი თხზულება არ არის სრული და ნაწყვეტ-ნაწყვეტია. დიდად მოხარული ვიქნები, თუ-კი გამოჩნდებიან სხვა მწერლები, რომელთაც ჩემი წიგნი გამოადგებათ გზა-მაჩვენებლად და რომელნიც უფრო შეავსებენ და სისწორეში მოიყვანენ ჩემს ცნობებსაო“. ამასთანავე ავტორი გვაცნობებს ერთს ფრიად სასიამოვნო ამბავსა: ოქსფორდის პროფესორი მისტერ მორფილი თურმე სწერს რუსეთის ისტორიას და ამ თხზულების ერთი კარი უნდა უძღვნას საქართველოს ყოფა-ცხოვრებას. მისტერ მორფილი, როგორც მკითხველს ეხსომება ჩვენის გაზეთიდამ, საქართველოში იყო წელს ზაფხულს. ბ-ნის უორდროპის სიტყვით, მისტერ მორფილს შეუდგენია კატალოგი ქართულ ბიბლიოთეკისა, რომელიც ოქსფორდში შეუწირავს სერ მალანს ინდოელ განყოფილებისათვის. როგორც ბ-ნი უორდროპი გვეუბნება, ინგლისში თურმე მარტო ეს ორი მეცნიერი კაცია, რომელთაც შეუსწავლიათ საქართველო — სერ მალანი და მისტერ მორფილი. მისტერ მორფილის წიგნი ამ მოკლე დროში დაიბეჭდება.

**

ცალკე კუტულებმა, ცალკე შავროვებმა და ცალკე ამ პატკანოვებმა ისე დაგვაფულეს და გაგვაძრეს ტყავი, რომ ქვეყნის თვალში ქართველებისთანა დავრდომილი ხალხი სხვა აღარ უნდა მოძებნილიყო კავკასიელთა შორის. არა თუ მარტო ჩვენი ისტორიული მნიშვნელობა გაასწორეს მიწასთან, არამედ მერმისშიაც არაფრის მოლოდინი აქვსთ ჩვენგან და წარწყმედის მეტსაც არას გვიქადიან. ამავე დროს ასწიეს და ასწიეს ზეცამდე სომეხთა მნიშვნელობა უწინდელი, აწინდელი და მერმისი, ასე რომ ევროპელთა თვალში პირველი და ერთად-ერთი ღირსეული ხალხი კავკასიისა გამოიყვანეს სომხობა. ჩვენ, თანხმად ქართველის ხასიათისა, არა გვშურს არავისი სიკეთე, მაგრამ საწყენი ის ცუდი და მდაბალი თვისებაა, რომელიც ეძებს ამაღლებას ჩვენის დამცირებითა და დამდაბლებით. ასეთის უღირსის ხელობით შორს ვერავინ წასულა და ვერც ამ ხელად წავიდნენ შორს. ცარიელის ფართი-ფურთით ვერავინ აუბამს თვალებს წმინდა მეცნიერებას, რომლის მოედანი დღითი-დღე ფართოვდება და განიერდება. მეცნიერებას ვერვინ შეუშლის ხელს მისს ძლევა-მოსილ მსვლელობაში. მეცნიერება თავისის ბრწყინვალე შუქით ადრე თუ გვიან გააქრობს და გააწბი-

რი საუკეთესო ფარ-ხმალია წესიერებისა, მართებულობისა და ჭეშმარიტებისა. სალისბერის ამ საქმეში მართებლობის მუქარა და კანონი-კი არ გაემკლავა; არა, სალისბერის, ვითარცა თავისუფალს წარმომადგენელს თავისუფალის ერისას, ნება-უფლება ჰქონდა ის ეთქვა, რასაც თითონ ჰგრძნობდა და ჰფიქრობდა; კანონს-კი ხელი არა აქვს ადამიანის გრძნობა-გონებასთან; ხოლო სალისბერის პასუხი მოსთხოვა თვით საზოგადოებამ, რომელსაც ჩვეულებად არა აქვს ადამიანისა და ერის ღირსების დამხობა და შელახვა.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხელ - მეორედ წლიური კრება წევრთა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ დანიშნულია დღეს, 6 დეკემბერს, დილის 11 საათზე.

*** თანხმად ექიმთა კრებულის რჩევისა, ტფილისის სასწავლებლებმა წინადადება მისცეს შეგირდების მშობელთა, რომ აუცრან ყვავილი, ვისაც არ უხდია ბუნებითი ყვავილი, ან ვისაც გასულია ვადა შვიდის წლისა და ხელ-მეორედ არა აქვს აცრილი. 4 დეკემბერს მეორე კლასიკურ გიმნაზიის შეგირდები იყვნენ მოწვეულნი სასწავლებლის დარბაზში და იქ მკურნალმა ყველას აუცრა, ვისაც-კი ესაჭიროებოდა. აგრეთვე ასე მოიქცნენ ბევრს სხვა სასწავლებელშიაც. ეხლა მძვინვარებს ტფილისში ყვავილი და ეს ღონის-ძიება აუცილებლად საჭიროა, თუმცა-კი უფრო კარგს იზამდნენ, რომ ეს ჩინებული აზრი მოსვლოდათ ცოტა ადრე, როცა უკეთესი დარები იდგა.

*** ჩვენ შემოგვჩივიან: მეთულუხჩეები და „ბოჩკით“ მზიდავები წყლისა ისე თავს გაეიდნენ, რომ შველა აღარ არის იმათგანაო. პოლიცია იმათ ყურს არ უგდებს და ქალაქის გამგეობა თითქმის არავითარს ზედამხედველობას არ ეწევაო. როცა პოლიციაში სჩივი ამათზე, პოლიცია თავიდამ გიშორებთ და გეუბნებათ, რომ მას აქეთ, რაც მილის წყალი გააკეთა ქალაქმა, ჩვენ ხელი აღარა გვაქვს მაგ საქმესთანაო, გამგეობას მიჰმართეთო. გამგეობა კიდევ პოლიციაზე გიშვერთ ხელს. ამასობაში პატრონი არსადა სჩანს და მეთულუხჩენი რასაც უნდათ, იმასა სჩადიან. მაგალითად, გუშინ-წინ, ამ კვირა დღეს, წყალი შემოაკლდა ერთს სახლობას მეცხრე განყოფილებაში. მიჰმართეს მეთულუხჩეს. იმან უარი უთხრა: თქვენ თულუხში მარტო 9 კ. იძლევითო და არ მოგიტანთ, ვიდრე ექვს შაურს არ მომცემთო. შეჰყვნენ ასე და საქმე ბოქაულამდე მივიდა, მაგრამ ბოქაულმა თავს არ იდო—ცირკულიარი მაქვს ქალაქის გამგეობისა, რომ პოლიცია არ ჩაერიოს ამისთანებში, მიჰმართეთ თვით გამგეობასაო.

სანამ ასე ადგილიდამ ადგილზე ივლით, მანამ მწყურვალენი იყავითო. ვერაფერი განკარგულებაა, როგორც ჰხედავთ.

*** „ივერიის“ მე-251 №-ში დაბეჭდილი იყო ამბავი მლეთიდგან; ამ ამბავში მოხსენებული იყო, რომ სოფ. არხვეთში რაღაცა ავადმყოფობამ შვიდი-რვა სული კაცი იმსხვერპლა; ამას მოჰყვა ბავშვების ავადმყოფობა და ისე დღე არ გაივლის, რომ ერთი ყმაწვილი არ დავასაფლავოთო. ამ ამბის შესახებ ტფილისის საგუბერნიო მართველობის სამკურნალო განყოფილებამ დაბეჭდა გაზეთს «კავკაზში» შემდეგი შენიშვნა:

„გაზეთმა „ივერიის“ ამბავი მართალი არ არის, რადგანაც სოფ. არხვეთში ავადმყოფობა არც ისე მძვინვარებს და არც იმდენი კაცი უმსხვერპლია. ექიმის ნაუმენკოს მოხსენებიდგან სჩანს, რომ სოფ. არხვეთში ოთხი კაცი გამხდარა ავად სახადით; ამათგან მხოლოდ ერთი მომკვდარა, დანარჩენები კი მორჩენილან. ბავშვებს მოსდებია ყივანა-ხველა ამ სამის კვირის წინად. სულ თხუთმეტი ბავშვი გამხდარა ავად ამ ავადმყოფობით და ამათ შორის ერთი მომკვდარა“.

*** ამ ჟამად ეკ. მესხის სტამბაში იბეჭდება ორი ქართული წიგნი: ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი „სიბრძნე ბალავარისა“ და დ. ზ. ბაქრაძის საქართველოს ისტორია. პირველი ფურცლები ამ ორს წიგნისა უკვე დაბეჭდილია.

*** 2 დეკემბერს ტფილისში ჩამოვიდა ხარკოვიდგან სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი თავ. დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკი და, ამბობენ, ორს კვირას დარჩება ქალაქშიო.

*** **ქუთაისიდგან** გვწერენ: 25 ნოემბერს აქაურს საარხეოლოგიო საზოგადოებას თავ-მჯდომარემ ქ-ნმა გრ. უვაროვისამ მოახსენა, რომ ქუთაისში ბაგრატის ტაძარს დარღვევას უპირებენო. ამ ამბავმა დაუმატა თავმჯდომარემ, იმდენად შემაწუხა, რომ მაშინვე მივმართე ქუთაისის გუბერნატორს ბ-ნს გროსმანს და ვსთხოვე რაიმე ღონე იღონოს ტაძრის დასაცველად ბარბაროსობისაგან. ბ-ნმა გუბერნატორმა უკვე მაცნობა, რომ ბაგრატის ტაძარი ხელ-შეუხებელი დარჩებაო.

*** **გორიდგან** გვწერენ: საქართველოს ყველა კუთხიდამ ისმის, რომ აქა და აქ ქურდობა მოჰხდა, აქ დუქანი გასტეხეს, იქ სახლებიო. არც ჩვენი გორი ჩამორჩება სხვა ადგილებს. აქ თუ მოხდება რამე, ისეთი მოხდება, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. წარსულს კვირაში, გიორგობისთვის გასულს, მოხდა შემდეგი ქურდობა: გასტეხეს სომხების სურბ-სტეფანეს ეკკლესია. ეს ეკკლესია ძველის-ძველია, ვგონებთ დავით აღმაშენებლის დროინდელი (სომხები მაშინდელნი გადმოსახლებულნი არიან გორში); ეკკლესია შეიცავს ორს სართულს; ქვემო სართულშიაც არის ეკკლესია და ასვენია კუბოებით წმინდანები. როგორც ამბობენ, ეს ეკკლესია და ოქონისა შეერთებულნი ყოფილან ძველად ხვრელით. ქვემო სართულს ფანჯარასთან კედელი გამოუნგრევია და ჩასულან შიგ ქურდები; ქვემოდგან ზემოდ ასავალი დაკეტილი ყოფილა, მაგრამ აუმტვრევიათ; ეკკლესია სულ ერთიანად გაუზიდნიათ; წაუღიათ ფული, და ვერცხლეულობა, ხატებზე, თუ შესამოსზე, აუგლეჯიათ. მხოლოდ გადარჩენილა ერთი ჯვარი, თუ, არ ვიცი, სახარება, რომელიც შემკულია ძვირფასის თვალ-მარგალიტით და ჰღირს ას თუმანზე მეტად. გატეხვასა, გამოზიდვასა და ოქრო-ვერცხლის აგლეჯას უკანასკნელი სამი-ოთხი საათი მოუნდებოდა. ეს ამბავი თავისს დროზე ვერავის გაუგია; გარშემო მცხოვრებლები სდგანან, დუქან-ბაზარით არის შემორტყმული და სამ მხრივ ქუჩები არტყია. პოლიცია ფაცა-ფუცით დაეძებს დამნაშავეთ, მაგრამ ჯერ ვერავინ ვერ აღმოაჩინა.

*** იქიდამვე: აქეთკენ ერთობ ცუდი დარებია; მუდამ დღე ჰთოვს და სწვიმს; ყველაფერი გაძვირდა; შეშა ისე ძვირად იყიდება, რომ ჯერ არავინ მოსწრებია; უბრალო ურემს ოთხ მანეთ ნაკლებ ვერ იყიდის კაცი. ხორაგეულობაც ძლიერ ძვირია.

*** იქიდამვე: გორის სასულიერო სასწავლებლის ახალის სახლის დაწვის გამო გამოგზავნილი იყო მოხელე, რომელმაც ხუროთ-მოძღვართან ერთად გასინჯა დამწვარი ოთახი და მასალა. გამოძიების შემდეგ ზარალი დაათვალეს რვაას თუმნად.

*** 3 დეკემბერს, მეათე განყოფილებაში, ნაბერეჟნაიზე, კაპიტანის ივანოვის ქვრივის სადგომიდგან ვიღაცებს მოუპარავთ ორი ოქროს საათი 155 მანეთისა.

*** 1 დეკემბერს, მეოთხე განყოფილებაში, ბალის ქუჩაზე, ექიმის ქოჩორიანცის სადგომიდგან მოუპარავთ სხვა-და-სხვა ნივთი, მათ შორის ოქროსიც, სულ 1136 მანეთისა. ქურდი, ახალ-ბაიაზეთის მცხოვრები ტ. ა., რომელიც ლაქიად ყოფილა ქოჩორიანცისას, შეუპყრია პოლიციელს კოვალევსკის. ზოგიერთი დაკარგული ნივთიც აღმოუჩენიათ.

## პოსრედნიკთან

პატარა ამბავი ხალხის ცხოვრებიდამ.

(სცენაზე სათქმელად)

ბატონის კაცი გახლავართ; გავიწყრომე რაღაზედაც და გამიწყრა ღმერთი; ჩემი კარ-მიდამო სხვას მისცა და ღრამატნაში ჩაუწერა. პოსრედნიკთან გიახელ, მოგიხსენე, შენი ჭირიმე, რომა მერცხალი ხომ არა ვარ, ბანიდამ ავფრინდე ჩავფრინდე, და პეპელა ხომ არა ვარ, კედლს მივეკრა-მეთქი. სული შემეხუთა, კარ-მიდამოს აღარ მაძლევს ბატონი-მეთქი. დამშორდა, მე თვითონ გიახლებიო. გიახლათ, შენი ჭირიმე; ჩვენ სახლში არ გახლდით; ი ჩემი ჯალაბი, თქვენი ნათლი-დედა, დახვედროდა. რა ვიცი, რა ვიცი (არ უნდა სათქმელად)... ი თქვენი ნათლი-დედა (თავ-ჩაღუნვით, უნდომლად ამბობს) ცოტა არ იყოს მარილიანი ადამიანი გახლავთ... ჩემმა დედაკაცმა მითხრა, რომაო, პოსრედნიკმა თქვაო, ჩამოვიდეს და ღრამატნაში ჩავწერამო. რაღა გითხრათ, გული სულ ამივუნდრუკდა. ჩავიჭერ პოსრედნიკთანა. ი პოსრედნიკმა არც აცივა და არც აცხელა და ასეკი მითხრა: მარტო შენ რას გამორბიხარო, შენი ცოლიც ჩამოიყვანე, თუ იმასაც არ მივეცი ნადელიო, არ იქნებაო... ი დიდება შენთვის, ღმერთო! (იღრიჭება) ე რა მადლიანი კაცი ყოფილა-მეთქი... იმასაც და შენც ორთავემ უნდა ხელი მამიწეროთ ქაღალდზედაო. წამოვედი და სულ ენა-წაგდებული ამოვიჭერ სახლში.

— დედაკაცო-მეთქი, ვუთხარი: ღმერთმა ციდამ მანანა გვითოვლა-მეთქი; ადე, წავიდეთ, პოსრედნიკი შენც გაძლევს ნადელსა-მეთქი. სწორედ ესე მითხრა მეთქი: თუ ი შენ ცოლსაც ნადელი არ მივეცი ნაფუძარში, არ იქნებაო. ვუბნებ, ვუბნებ და ჰქნა ფრიადი და შეუშვირა თავი ქვასა.

— რას გადამეცივდა, ვერ წამოვალო.

— დედაკაცო, ჭკუაზე ხარ? ჰა? რა გამოგცდება ქმანდამდის ჩასვლითა. ნწ! თავი მოიკლა და არა ჰქნა.

მამასახლისს შევსთხოვე—შენ ღხენისა, ერთი შეაგონე რამე ჩემ ცოლსა წამომყვეს პოსრედნიკთან, რო ნადელი მომცეს-მეთქი.

— ნათლიდედ, რა არის, რა სირცხვილია, რო ჩახვიდე და ხელი მოუწეროო. რა გამოგცდება, სულ ერთი თვალის დახამხამების საქმეა. კარზე ბედი მოგდგომიაო.

ნჰა! დედაკაცი ძაღლია; ი დინდავარდნილის გამონაცემი, გაჭირდა; მიიჭამ-მოიჭამა ცხვირ-პირი; ცხვირი ქოფაკი ძაღლივით აიფხლიკა. (სიამოვნებით) როგორც იყო მოვჯობე. დავუჭერე ჩვენებიანთ ჭაკი-ცხენი, შევაბმანე ჩემი დედაკაცი და გამოვსწიე. ისე იჯდა ცხენ-

---

ლებს ყოველ გვარ ხრიკსა და მანქანებას. ეს დრო მეცნიერების გამარჯვებისა უახლოვდებათ ზემოთ დასახელებულ ვაჟბატონებს. მეცნიერება თავისს კვალს ადგია და აგერ ამ კვალში მას გადაეღობა კავკასიის გამოურკვეველი და მიუვალი ისტორია, რომელიც ჯერ ისევ ბნელით არის მოცული და რომლის არ-ცნობა ასე აფერხებს მეცნიერების წინ - სვლასა. რაკი დღეს ამაზე მიდგა საქმე, ეხლა ფიქრი აღარ არის. მეცნიერებამ არ იცის ამისთანებში უკან დაწევა. ეგვიპტის რაღაც იეროგლიფებით მან აღადგინა ძველი ენა ეგვიპტელთა, ჩაიხედა მათს გულში და ამოიკითხა თითქმის მთელი მათი დიდებული წარსული ისტორია. კავკასიის ისტორია გაცილებით უადვილესია დღევანდელ მეცნიერებისათვის, რადგან აქ მთელი ნიადაგი ამ მთიან ქვეყნისა მოფენილია უთვალავის ნაშთებით და ამავე დროს კავკასიაში დღესაცა სცხოვრობს დას-დასად სხვა-და-სხვა უძველესი ერი და ლაპარაკობს უძველესს ენებზე. ხომ მოგეხსენებათ, რა ღირსების ფარ-ხმალია დღეს ენის გამოკვლევა ისტორიისათვის. ეხლა კავკასიურ ენების შესწავლასა და გამოკვლევას, კავკასიის ისტორიას შეეჭიდნენ მარტო ისეთი მეცნიერები-კი არა, როგორებიც არიან შავროვ-პატკანოვები, არამედ ისეთები, რომელნიც პატა უფრო სხვა ნაირად ეპყრობიან ცოდნასა და ჭეშმარიტებას. სხვებმა თავიანთი აზრი დაამყარონ შავროვ-პატკანოვებზე, ხოლო ჩვენ-კი ყური ვუგდოთ მართალს მეცნიერებს, რომელთაც თავიანთს ძიებაში წინ მიუძღვით მარტო ჭეშმარიტება და არა ქვენა ანგარიშები.

ბ-ნ უორდროპის წიგნი ისეთის აშკარა სიმართლით არის დაწერილი, რომ თვით ცილის-წამებაც ვერ უპოვნის ხინჯს, რაც გინდ ძრიელ მოიწადინოს. თითქო ამისი თქმა უნდა ავტორს, რომ ვისაც გინდათ შეამოწმოთ ჩემი სიმართლე, ნუ დაიზარებთ, წადით კავკასიაში და თქვენის თვალითა ნახეთ ყველაფერი და დასტკბით იმითი, რაც შეადგენს მართალს სიამოვნებასა და უტყუარს მშვენებას კავკასიისასაო.

**

მაინც ბ-ნ უორდროპის წიგნი უმთავრესად იმ აზრით არის დაწერილი, რომ ინგლისელ საზოგადოებას გაუღვიძოს სურვილი კავკასიის ნახვისა და შესწავლისა. წინა-სიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ ინგლისის საზოგადოება ძალიან ნაკლებად იცნობს კავკასიასა და მეტადრე საქართველოსაო. ინგლისშიო „კარგად განათლებულმა ხალხმაც-კი იმის მეტი არა იცის-რა, რომ საქართველო განთქმულია ლამაზის ქალებით, მაგრამ ის-კი დანამდვილებით არ იციან, სპარსეთისა, სათათრეთისა, თუ რუსეთის მფლობელობაში იმყოფებიან ეს მშვენიერი არსებანი. ეგ რად გინდათ—ათასში ერთმა ძლივს იცის, რომ ქართველები და ჩერქეზები სხვა-და-სხვა ხალხიაო.

„ინგლისელ კაცს რო უთხრათ—ამიერ-კავკასია ჩინებული შესასვენებელი ადგილია საკანიკულოდაო, ისე გაკვირვებული დააჭყეტავს თვალებს, თითქო თქვენ ზულუსების კუნძულისას ელაპარაკებოდეთ, ან ელადივოსტოკისას. როცა ჩააგონებთ, რომ საქართველო დღეს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილია, მაშინვე პირში გახალებენ, რომ მაშ საქმეს გააჭირებს პოლიცია და პასპორტიო. ვისაც საქართველოს ნახვა გსურთ, ფიქრი ნუ გაქვთ პასპორტისა; ჯერ თვით მოსკოვშიაც იშვიათად ავიწროებენ უცხოელს ამ მხრივ და კავკასიაში ხომ სულაც დაგავიწყდებათ, რასა ჰქვიან პასპორტი.

„საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველოსაც ისე არ მიაწყდება მგზავრი ხალხი, როგორც ნორვეგიასა და შვეიცარიას. საქართველო სულაც ისე შორს არ არის აქედამ, როგორც ჰგონია ჩვენს ხალხსა—ლონდონიდამ ტფილისს ხმელეთით ერთს კვირაზე ჩახვალთ. საქართველო, რაც უნდა სთქვათ, სიტურფით არც ნორვეგიას ჩამოუვარდება, არც შვეიცარიას და იმისი მიმზიდველი უპირატესობა კიდევ ის არის, რომ უცნობი ქვეყანაა ჩვენებურ მოგზაურთათვის. იქ არც ისეთი უსირცხვილო ცარცვა-ყვლეფა იციან, როგორც ჩვენს ახლო-მახლოებში და, გარდა ამისა, საქართველოში მოგზაურობა უფრო იაფია, ვიდრე შოტლანდიაში. ყოველსავე ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმის თვალში, ვინცა მოგზაურობს შესასვენებლად და ეძებს ჯანის გამრთელებას.

„ბოტანიკი იქნება, თუ გეოლოგი, არხეოლოგი, თუ ფილოლოგი, ყველასთვის საქართველოში ზღვის ოდენა მასალაა, რომელიც ჯერ ხელუხლებელია თავ-თავიანთის მეცნიერებით. მთების მოყვარენი უკვე გააცნო ამ ქვეყანას მისტერ ფრეშფილდმა თავისის ჩინებულ წიგნითა, თამაშობისა და გასართობის მოყვარენი—მისტერ უოლიმ. მხატვრებისათვის საქართველო არის სრულებით ახალი მოედანი მათის სამხატვროს სავარჯიშოდ. მაგრამ ყველა ამას აღემატება საქართველოს უმთავრესი მიმზიდველი ძალა და ეს ძალა ქართველების ღირსებაა. ქართველი მარტო სახით-კი არ არის სასიამოვნო სანახავი, ეს ხალხი მართლა საყვარელი რამ ხალხია. ანდაზა სწორედ მართალს ამბობს, რომ „სომხის სული თავშია დაფარული და ქართველისა-კი თვალებიდამ გამოიჭყიტებაო“. ვისაც უნდა გულიდამ გადიყაროს ჯავრი, დაღვრემილება, მელანხოლია და მიზანტროპია, იმაზე უკეთესს წამალს ვერ იშოვნის, რომ წავიდეს და იცხოვროს ამ მხიარულ, გულ-გახსნილ, ხელ-გაშლილ, პატი-

ზე, როგორც დედოფალი (იღიმება)... ი ოხერი, სულმა წამძლია (იცინის), მკლავი წელში გავუყარე, გადმოვსწიე და ერთი ისეთი ჩავკრომტე, რომ სულ ბუყბუყით გამირბინა მარღვებში (იცინის). ჰო, ზიარების მადლმა...

გიახელით პოსლედნიკთანა. მე მოვაწერე ხელი. ბიჭს უთხრა, რომ ე ანდრია გაიყვანე და მეორე ქაღალდზე მოუწერე ხელიო; ე ნათლიდედა აქ იყოს, მოსაწერი აქვსო... (მწარედ იღიმება) კაი, დედას დავკელიე... რაღაც წიკვინი შემომესმა... რო გავიწიე, მივაწექ კარსა და... (თავს იქნევს, ენა ებმის) და... იი...ჩემი ჯალაბი... რა ვიცი, ის-ის... კი დავნელდი და უნამუსომა ვეჭამე (ქტირებს)... კიდეც იმიტომ არ მომდევდა, გულმა უგძნო. (დარდს გადიყრის და ამბობს) ეს ხომ ჰო და ჰო! მაგრამ (მხიარულად) კარ-მიდამოც მომცა და ჩემ ცოლსაც ერთი კაი ნაფუზარი. ხა, ხა, ხა! მა! მა! (თავის ქნევით გადის.)

ს. მგალ—შვილი

# უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. რეიხსრატის კრებაზე 25 ნოემბერს გასინჯეს ახალი სამხედრო კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტის გამო უფრო სამმა ორატორმა ილაპარაკა: პლენერმა, მემარცხენე დასისამ, მოხუცმა ჩეხმა რიგერმა და ახალგაზდა ჩეხმა გრეგრმა. რა სთქვა გრეგრმა, ჯერ არ ვიცით გაზეთებიდამ, ხოლო პირველ ორის ორატორის ლაპარაკი-კი უკვე მოხსენებულია დღევანდელს რუსულს გაზეთებში. პლენერს უთქვამს, რომ 1879 წლამდე დიდის მომჭირნეობით ვიქცეოდით და სამხედრო საქმეებისათვის ბევრს არა ვხარჯავდითო. მას უკან დავუახლოვდით გერმანიას და ვუმატეთ ხარჯსაცაო. ახალი კანონ-პროექტი დღეს კიდევ ითხოვს ხარჯს იმავ მხედრობის გასაძლიერებლად. ჯერ კომისიამ გასინჯა ეს კანონ-პროექტი და წუნი არა დასდო-რა. მხოლოდ ენის გამო ემდურებიან მთავრობას, ამ კანონ-პროექტით სლავიანთა ენას რად ეძლევა მნიშვნელობაო. მაგრამ, რას იზამთ, როგორ შეუძლიან მთავრობას პატივი არა სცეს სლავიანთა ენას, როდესაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ და ყოველთვის შეუძლიანთ ძირს დასცენ მთავრობა, თუ იმათ სურვილს სახეში არ მიიღებს. ავსტრი-ვენგრიის საგარეო პოლიტიკაზედაც უნდა მოგახსენოთ, რომ იგი პოლიტიკა არ ეშესაბამება საშინაო პოლიტიკას. ვსთქვათ, ამ ბოლოს დროს ავსტრიას ფიქრი ჰქონდა და, იქნება, დღესაცა აქვს ომისა და ამიტომ ამზადებს, ამრავლებს ჯარებს. ვსთქვათ, ამხანაგობა გერმანიასა და იტალიასთან გვაიძულებს, რომ ჩვენც იმათსავით ტყავი გავიძროთ და, რაკი ამხანაგობაა, ამაში უკან არ ჩამოვრჩეთ და ტოლნი ვიყვნეთ; ეს ყველა კარგი, მაგრამ ვერ გამიგია: თუ გერმანიას ვეამხანაგებით, აქ ჩვენში გერმანელობას რად ვაყენებთ უკან? თუ მეგობრობა იმიტომა გვაქვს, რომ აღმოსავლეთის მეზობლისაგან ომისა გვეριдება, მაშ შინ რაღად ვადგევართ სასლავიანო პოლიტიკას, რად ვაყენებთ წინ სლავიანებს. მეორე საბუთი კიდევ საშინაო და საგარეო პოლიტიკის უთანხმოებისა ის არის, რომ ჩვენ ვმეგობრობთ იტალიას და შინ-კი იმედი გვაქვს ულტრამონტანებისა, ესე იგი იმათი, ვისაც იტალია ჰირივითა სძულთ. აი ეს არ მეყურება მე. ეჭვი არა მაქვს და მჯერა კიდეც, რომ მინისტრების ლაპარაკი გულწრფელია და საგარეო პოლიტიკას ერთობილის შეთანხმებით აწარმოებენ, მაგრამ მაინც ვხედავთ, რომ აქ რაღაც აზრი უნდა იფარებოდეს. ჩვენ მაინც, როგორც მამულიშვილნი, მოვალენი ვართ იმპერიის ძლიერებისთვის თეთრი კენჭი მივცეთ ახალს კანონ-პროექტსაო.

პლენერის შემდეგ რიგერმა დაიწყო ლაპარაკი. მან სთქვა: დიდი ხანია აზრი ტრიალებს, რომ ერთა და სახელმწიფოთა შორის დავა მშვიდობიანის სამართალით გადიჭრას ხოლმე, მაგრამ აქამდე ეს აზრი აზრად რჩება, ხორცს არ ისხამს და საერთა-შორისო ურთიერთობაში კვლავ ბატონობს ძლიერიო. „ამიტომაო, — განაგრძო ორატორმა,—ვინც პატიოსნებით ეკიდება ავსტრი-ვენგრიას, უთუოდ უნდა მისცეს ღონის-ძიებაცა, გააძლიეროს მან თვისი თავი. გვარწმუნებენ, რომ მშვიდობისა და სათნოების მეტი არ არის ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორისაო, მაგრამ მაინც ჩვენის სისუსტით განსაცდელში არავინ არ უნდა შევიყვანოთ. ამასთანავე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს ჩვენ გერმანიის ამხანაგნი ვართ და, მაშასადამე, ვალდებულება გვაწევს ამ ამხანაგობას არაფრით არ ვუღალატოთ. მართალია, გერმანიის ზოგიერთმა გაზეთებმა უმართებულო ლაპარაკი დაიწყეს, მაგრამ იმ ლაპარაკს მნიშვნელობა არა აქვს. ასეც გამოჩნდა ბოლოს. ჩვენ ამაზედ ხმასაც არ ამოვიღებდით, რომ კილო იმათის ლაპარაკისა მეტად სათაკილო არა ყოფილიყო მოკავშირე ამხანაგისათვის, ესე იგი ჩვენთვის (მემარჯვენენი უწონებენ ამ ლაპარაკს რიგერს). რაკი ავსტრიამ პირობა შეჰკრა, აღარც უღალატებს ამ პირობას (კვლავ ისმის ხმა მოწონებისა მემარჯვენეთა შორის). რა-კი მისმა უდიდებულესობამ ხელი მოაწერა იმ პირობაზე, ავსტრიის ერნი უკან არ დაიხევენ და შეაძლებინებენ კიდეც შესრულებას (კვლავ ხმაა მოწონებისა). ყველანი ვგრძნობთ, რომ საჭიროა მეგობრობა ჩვენი და საფრანგეთისა (ისმის სიცილი. ყველანი იძახიან: როგორ თუ ჩვენი და საფრანგეთისაო!..) არა, გერმანია უნდა მეთქვა. ერნი ავსტრი-ვენგრიისანი იკისრებენ და პირობის ყველა მუხლს შეასრულებენ. მე არც ისა მგონია, რომ საპოლიტიკო ცა ისე მოღრუბლული იყოს, როგორც წელანდელმა ორატორმა გვიამბო. ჩვენ მაინც უნდა მშვიდობა ვისურვოთ, ხელმწიფეც ჩვენი ერთგული დარაჯია მშვიდობისა. ხოლო ისიც მოახერხებს განმახვოს მახვილი, უკეთუ იმპერიის სახელი, უვნებლობა და საამხანაგო ვალდებულება მოითხოვს. რაიცა შეეხება მემარცხენეთა აზრს, რომ ვითომ ჩვენი და გერმანიის ამხანაგობა ისე მტკიცე არ არის; რომ ვითომ საჭიროა უფრო მეტად დავუმეგობრდეთ და თუ, შეიძლება, უმცროსი ძმობაც გავუწიოთ, ეს მე შესაწყნარებელი არა მგონია. ავსტრია, ეს ძველის ძველი იმპერია, მისი დიდებული, სახელოვანი სამეფო მფარველობას ვერ გაუწევს ასეთს ძმობას, ვერ იტვირთებს როლს „კეთილშობილის მთავარ-მართებლობისას“, ერთის მეფის თქმისა არ იყოს. ჩვენ გვინდა, რომ ავსტრია თანასწორი წევრი იყოს ამხანაგობასა და კავშირში (მემარცხენენი იძახიან: „ჩვენც ეგ გვინდაო!“), ჩვენ გვინდა, რომ ავსტრიას ხელშეუხებლად ეპყრას ყველა თავისი უფლებანი თვით-მყრობელობისა („ჩვენც ეგ გვინდა!“—კვლავ იძახიან მემარცხენენი), რომ მისდევდეს თავისს საკუთარს პოლიტიკას, პოლიტიკას თავისის ინტერესებისას“.

# წვრილი ამბები

ბელგიის მეფეს, რომელიც აქამდე დიდი წინააღმდეგი იყო ადამიანის დასჯისა სიკვდილით, ეხლა დაუმტკიცებია განაჩენი სასამართლოსი, რომლითაც კონგოს სამეფოში ჩამოჰრჩობა გადუწყვეტია კუდიანის ზანგის დედაკაცისათვის. ეს დედაკაცი აბრალებდა თურმე ევროპელებს, რომ თქვენ ჩვენს კერპებს თვალი ჰკარითო და საწამლავს ასმევდა.

— ლონდონში პირველად უცდიათ ამ დღეებში ახალი ომნიბუსი, რომელიც ელექტრონის ძალით დადის. ამ ომნიბუსს არც ცხენები უნდა, არც რელსები და სიჩქარითაც ძალიან ჩქარა დადის ჩვეულებრივს ქვა-ფენილს გზაზედაო.

— მალე დაიბეჭდება წიგნი, რომელშიაც მაკ-მაჰონი, საფრანგეთის რესპუბლიკის ნაპრეზიდენტალი ტიერს შემდეგ და გრევის წინად, უამბობს მკითხველებს თავისის დროის ამბებსაო.

— სწავლულს გოვის წარუდგენია წერილი საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიისათვის და ამტკიცებს, რომ მიკროსკოპი გალილეიმ მოიგონა 1616 წელს და არა ჰოლანდიელმა კორნელი დრებელმა, როგორც აქამდე ჰფიქრობენო.

—1812 წელს ზღვაზე გემი დაღუპულა და 200 კაცზე მეტი ჩაუნთქავს ზღვას. გემში ყოფილა დიდი რკინის ყუთი, სავსე სალაროთი და ოქრო-ვერცხლით. მას უკან ბევრი უძებნიათ ეს ყუთი, მაგრამ ვერ უპოვნიათ. ახლა შემდგარა ამხანაგობა და კვლავ უნდა დაიწყონ თურმე იმ ყუთის ძებნა.

— ადელინა პატი მღერის ეხლა პარიჟში და თითო ოპერაში სიმღერისათვის იღებს ათი ათასს ფრანკს. ამას წინად მისულა მასთან თავ-მჯდომარე ერთის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა და უთხოვნია, ღარიბებისათვის კონცერტში მონაწილეობა მიიღეო. არაო,— უპასუხნია სახელოვანს მომღერალს:— მღერა-კი არ შემიძლიან და ფულს-კი მოგართმევთ მაგ კეთილის საქმისათვისაო. აუღია და მიუცია კონცერტი ფულით. თავ-მჯდომარეს ვერ მოუთმენია და გზაზე უნახავს, აბა ერთი ვნახო, რა მომცაო. გაუხსნია კონვერტი და შიგ 5 ფრანკი-კი აღმოჩენილა. საზოგადოების კომიტეტს გადაუწყვეტია, უკანვე დავუბრუნოთ ეგ ხუთი ფრანკი მომღერალსაო.

— ერთს მღვიმეში გერმანიას ჩამოწოლილა მიწა და შიგ დაუტანია მუშები. დახოცილ მუშათა შორის ერთი უცვნია ცოლს და მაშინვე გული წასვლია. იმავე ღამეს ამ უბედურის დედაკაცის სახლს წაეკიდა ცეცხლი და დაიწვა შიგ თავადაც და მისი სამი შვილიც. გადარჩა მხოლოდ მეოთხე ქალიშვილი და მან უამბო მეზობლებს შემდეგი: იმ ღამეს, როცა მამაჩემი ჰნახა დედამ მკვდარი, დედა ძალიან დაღონებული იყო. მერე თითქო გონება დაჰკარგაო, აიღო ნავთის ბოთლი, დაასხა თავისს ტანისამოსს, უმაწვილებს და წაუკიდა ცეცხლი. მე გადავრჩი, მაგრამ დედა სცდილობდა, რომ მეც ცეცხლში ჩავეგდეო.

— ლორდ ჩემბერლენს ამ დღეებში ჯვარი დაუწერია. ცოლად შეურთავს სამხედრო მინისტრის ქალი მერი ენდიკოტი.

# გასართობი

ლონდონის ერთს სასამართლოში არჩევენ ამ ჟამად შემდეგს საინტერესო საქმეს. გასათხოვარს ქალს პასტორისას ვალერია ვიდემანს უჩივლია ერთის ინგლისელის არისტოკრატისათვის, რობერტ-ჰორაციო ვალპოლისათვის, რომ დამპირდა ცოლად შეგირთავო და თავისი დაპირება აღარ შეასრულაო. ამიტომ უნდა მომცეს 200,000 მარკაო.

რომანი ამ ქალსა და ინგლისელ არისტოკრატ შორის ასე დაწყებულა. ინგლისელს გაუცვნია ეს ქალი სტამბოლში თავისის თანამემამულისავე ოჯახში, სადაც ვალერია მასწავლებელ-ქალად ყოფილა. ყმაწვილს კაცს

---

ოსან და გულ-უბრყვილო ხალხის შორისაო“.

**

როგორც ზევით ვსთქვით, ბ-ნ უორდროპის წიგნი არის აღწერა ავტორის მოგზაურობისა, მერე ნაამბობია მოკლე ისტორია საქართველოსი, შემდეგ ავტორი ლაპარაკობს ქართულს ენასა და მწერლობაზე და ბოლოს აღწერილია ჩვენი პოლიტიკური ყოფა-ცხოვრება. რომ უფრო ადვილად გადავცეთ წიგნის ნაამბობი მკითხველს, ჩვენც ასე ნაწილ-ნაწილ გავყვებით ავტორს. დავიწყებთ მისის მოგზაურობიდამ. ეს ნაწილი წიგნისა მარტო იმითი-კი არ არის საინტერესო, რომ გვატყობინებს ავტორის საკუთარს შენიშვნებს სხვა-და-სხვა ადგილებისა თუ ქართველ ხალხის შესახებ, არამედ სხვა ღირსებაც ბევრი ისეთი აქვს, რომ იმისი წაკითხვა უსარგებლო არ იქნებოდა ჩვენის მკითხველისათვის. ავტორს უნახავს თითქმის ყველა საცოდნელი ადგილები ჩვენის ქვეყნისა და საცა-კი მისულა და გაუჩერებია თავისი ყურადღება, ყველგან ყველაფერი შეუკრებია, გამოუძიებია და ჩაუწერია დავთარში. თითქმის ყოველ ამისთანა ადგილის თაობაზე ავტორი გაძლევთ თუ ისტორიულს, თუ გეოგრაფიულსა და ეტნოგრაფიულს ცნობებს გეტყვით, რომ ესა-და-ეს ქალაქი სძევს ამა-და-ამ სიმაღლეზე ზღვის პირიდამაო, ამდენი მცხოვრებელი ჰყავს, ასეთი მნიშვნელობა ჰქონია ისტორიაში ამა-და-ამ დროსაო, დღეს ამა-და-ამ ერის წარმომადგენელნი სცხოვრობენო, ესა-და-ეს მხარე მოსაწონი აქვს, ისა-და-ის-კი დასაწუნიო. ეს ისეთი ცნობებია, რომ თვით ადგილობრივს მცხოვრებსაც-კი გამოადგებოდა, რადგან ჩვენ მეტად დაუდევარი ხალხი ვართ და არაფრის დაკვირვება არც გვეხალისება, არც ვიცით.

ავტორი თავისს კავკასიურს მოგზაურობას იწყებს ბათუმიდამ. აგერ ათს წელიწადზე მეტია, რაც ბათუმი ჩვენ შემოგვიერთდა, და აბა გულ-ახდით მითხარით, ბევრს ჩვენგანს აღძვრია სურვილი ამ ქალაქის ნახვისა! ან ვინც ჩვენგანი შემთხვევას მიუყვანია ბათუმში, ბევრს დაჰბადებია ხალისი თუნდ მარტო სათვალ-თვალო ცნობების შეკრებისა და სხვებისთვის გაზიარებისა! რამდენადაც მე ვიცი, აქამდე არც ერთს ქართველს არ შეუტყობინებია ჩვენთვის ამისთანა ცნობები და თითქმის სამიოდე კაცის მეტს ვერ დავასახელებ, რომელნიც, შემთხვევით-კი არა, ცნობის მოყვარეობით წასულიყვნენ ბათუმს, ისე, მხოლოდ სანახავად, თვალის გადასავლებად.

სრულებით სხვა რიგად მოქცეულა ბ-ნი უორდროპი. შემოდის თუ არა ბათუმში, ჯერ პირველად იმისს საუცხოვო მდებარეობას აქცევს ყურადღებას, შემდეგ გადადის მცხოვრებთა რაოდენობაზე, რომელიც ათი-ათას სულამდე ადის და მათ შორის უმეტესობა ქართველი ხალხიაო. «ქუჩები განიერიაო, ამბობს ავტორი, და, თითო-ოროლა ადგილების გარდა, ქვა-ფენილს ვერა ჰნახავთო. ტალახის მორევები სიღრმით იქნება ასე სამიოთხის გოჯიდამ ნახევარ არშინამდე. ტალახის გორები ახარებენ ურიცხვ გოჭებსა და იხვებისთვის ხომ თვით უკეთესს ქუჩებში მზად არის კარგა მოზრდილი წუმპეები, სადაც ისინი დროებას ატარებენ და ლაღობენო». ისიც შეუტყვია ავტორს, თუ წელიწადში რამდენი ფუთი საქონელი გადის ბათუმიდამ. ეს რიცხვი დღეს 24 მილიონ ფუთამდე ადისო და საქონელი უმეტესად ნავთეულობაა, შავი ქვა და სხვანი. ამ ქალაქს დიდი მერმისი მოელისო და ქიშპობას გაუწევს თვით ოდესას და აგრეთვე ყირიმის აბანოებიან ქალაქებს, თუ-კი ბათუმის მიდამო ჯეროვანად ამოამშრალესო. ეხლა-კი ბათუმი ძალიან ნაკლებად არის მიმზიდველი მგზავრთათვისო, და ამიტომ სიჩქარით გაურბის ავტორი ამ ქალაქსა და მოდის აღმოსავლეთისაკენ. მშვენიერება გურიისა და იმისის მცენარეულობის სიმდიდრე ჰხიბლავს ავტორის თვალსა და გულს და ასე მოჯადოებული შემოდის ქუთაისში, სადაც პირველშივე, მოსვლისათანავე ჰხედავს მაღალ მთაზე უწინდელ დიდების დანგრეულს მოწამეს, რომლის ნაშთთა შორის კინალამ ჩვენმა უმეცრებამ ბაგრატის ტაძარი „ფოდრაჩიკის“ მსხვერპლად არ გაჰხადა ამ დღეებში. ავტორს ძალიან მოსწონს სატახტო ქალაქი იმერეთისა და სხვათა შორის ამბობს: «მგზავრი, რომელსაცა ჰსურს გაიგოს, თუ როგორა სცხოვრობს ქართველი კაცი ქალაქებში, უნდა ერთი ან ორი თვევე მაინც ჩამოხდეს ქუთაისშიო».

ბ-ნს უორდროპს თავისი უმთავრესი ყურადღება მიუქცევია აღმოსავლეთ საქართველოსათვის, ხოლო დასავლეთი საქართველო, ჩვენდა სამწუხაროდ, მარტო გაკვრითა აქვს მოხსენებული. თავისს შენიშვნებს დასავლეთზე ამითი ათავებს: „ქუთაისიდამ თხუთმეტიოდე ვერსზე სძევს მონასტერი გელათისა, აშენებული მეათე საუკუნეში და განთქმული იმითი, რომ იქა (?) ჰმარხია სახელოვანი თამარ დედოფალი. ქუთაისიდამ შეიძლება გაემგზავროს კაცი სვანეთისაკენ, რომელიც კავკასიაში ყველაზე გვიან დაიპყრო რუსეთმა... ქუთაისიდამ კავკავისაკენ მიდის გზა კავკასიონის ქედზე. ეს გზა უფრო მაღალი და ველურად-დიდებულია, ვიდრე ვანთქმული გზა დარიალისა. ძალიანა მწყინს, რომ დრო არა მქონდა ეს გზაც გადამევლოვო“. ბოლოს გზა-და-გზა იხსენიებს ყვირილას, ჰიათურს, კორტოხს, სურამს, უფლის ციხეს, გორსა და პირდაპირ ჩამოდის ტფილისში. აქ უფრო ვრცელი შენიშვნები იწყება.

სანო

(შემდეგი იქნება)

მოსწონებია მასწავლებელი-ქალი და დაუწყია უკან დევნა. ისე მოუხერხებია, რომ იმ ოთახშიაც-კი დაუწყია სიარული, საცა ყმაწვილი ქალი თავისს შეგირდებს თურმე ასწავლიდა. რვა დღის შემდეგ ინგლისელი შეპარულა საღამოზე ქალის ოთახში და აღარც უცივებია და აღარც უცხელებია, აუღია და მოჰხვევია ვალერიას. ჩიტივით შემთრთხალა საწყალი ვალერია და მოუნდომებია მოსამსახურების დაძახება, მაგრამ, თავის საუბედუროდ, შემჩნევია, რომ იმასაც მოსწონდა თურმე ყმაწვილი კაცი. ყმაწვილმა ქალმა და კაცმა გადასწყვიტეს დაენებებინათ თავი სტამბოლისათვის და წასულიყვნენ კანში, საცა ინგლისელის დედა იყო. ასეც მოიქცნენ, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა გემში უნდა ჩამსხდარიყვნენ, ინგლისელს მოუვიდა წერილი შოტლანდიიდამ: მამა ავადა გყავს და უნდა მოხვიდეო. ქალს უთქვამს: მეც წამოგყვებიო. არაო, უპასუხნია ვალპოლს: ისა სჯობიან, რომ შენ დედაჩემთან წახვიდეო. ყმაწვილს კაცს მიუცია ვალერისათვის თავისი ბეჭედი, ასი თუმანი ფული და გაუგზავნია კანს. დედას ყმაწვილის კაცისას ჯერ კარგად მიუღია ყმაწვილი ქალი, მაგრამ როცა შეუტყვია რაშიაც იყო საქმე, გაუსტუმრებია თავისის სახლიდამ: ძრიელ ვწუხვარ, რომ იმისთანა არშიყ კაცს ჩავარდნილხარ ხელში, როგორიც ჩემი შვილიაო. იმას დანიშნული ჰყავს კიდეც ქალი, ისეთი ქალი, რომელიც უფრო შეეფერება იმისს გვარიშვილობასაო. ქალი წამოსულა, მიუწერია რამდენიმე წერილი ყმაწვილის კაცისათვის, მაგრამ პასუხი არა მოსვლია-რა. ცხრა თვის შემდეგ შვილი მისცემია. ეს ამბავიც მიუწერია მატყუარასათვის, მაგრამ მაინც კიდევ ვერ შეურყევია იმისი მდუმარება. ბოლოს ამდგარა და უჩივლია ლონდონში. მოსამართლეებს ძალიან გული სტკენიათ ამ ქალის საქმის გამო, მოსწონებიათ იმისი გულწრფელობა და ყველას იმედი აქვს, რომ ფულიც გარდახდება ვალპოლს და ციხეშიაც ჩაჯდებაო.

◆◆

# დეპეშა

### 3 დეკემბერი

**პეტერბურგი.** „Новое Время“-ს სანდო წყაროდგან შეუტყვია, რომ სპარსეთმა წინანდელი თავისი აზრი გადასთქვა და დასთანხმდა მეშხედში ჩვენ კონსულად აღიაროს ვლასოვი, რომელიც ამ ჟამად რეშტშია კონსულად. იმედიაო, რომ სხვა საქმეებიც კეთილად დასრულდება, თუმცა მოლაპარაკება ბევრს დროს მოითხოვსო.

**დარმშტადტი.** დღეს გარდაიცვალა პრინცი ალექსანდრე ჰესენისა.

**სტოკჰოლმი.** შვეციის მეფემ დანაშნა ფრანც-იოსები შვეციის ჯარის გენერლად.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭო იმასა ჰზრუნავს, რომ რაიმე საშუალებით ხელი შეუწყოს მუშაობას პანამის არხის დასასრულებლად. პანამის საზოგადოება უქმდება.

### 4 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრება შეუდგა პროექტის განხილვას სათემო უფროსების შესახებ.

გუშინ ყაზანის ტაძარში მართლმადიდებლობა მიიღო ჩეხელმა ჟურნალისტმა სკრეიშოვსკიმ. ნათლიად იყო გრაფი იგნატიევი.

**პარიჟი.** პალატამ უარ-ჰყო მართებლობის აზრი, რომ დახმარება აღმოჩენილ იქნეს გაკოტრებულ პანამის საზოგადოებას.

## პეტერბურგის ბირჟა, 2 დეკემბ.

| | მიეცემოდნენ. | გამოყიდვენ. | დაუყიდ- ნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 82 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 155 3/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272 3/4 |
| —მეორისა . . . . . | 242 1/2 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 81 | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 1/2 | › |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3 1/2 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზითე ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი

სოლომან მამულაშვილი,

**გამოცდილი მებაღე,**

ეძებს ადგილს. კარგად იცის მოვლა ვაზისა და ხეხილისა. უმსახურნია თავ. ივ. კონ. ბაგრატიონ-მუხრანსკისას და ამისი მოწმობაცა აქვს. ადრესი რედაქციაში. (3—1)

სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

**თეატრი**

1889 წელს გამოვა ყოველ კვირა.

რედაქციამ მიიღო ყოველი ღონისძიება, რომ გაზეთი უკეთესად ემსახუროდეს თავისს საქმეს და გამოდიოდეს ყოველთვის თავისს დროზედ ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის რედაქციაში, ბანკის ქარვასლაში. წლიური ფასი არის 5 მ., ნახევარ-წლიური—3 მ. და თითო ეგზემპლიარი ჰღირს 15 კ.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთათვის გაზეთის დასაბარებელი ადრესი შემდეგია: Тифлисъ. Редакція газеты „Театръ“.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნებიერიძე (3—3)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

**მამული ვორონოვისა**

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის მეს ენიუტინს. (24—18)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . . | ,, | 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 25 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოელენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |

ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართვით ისყიდება

**საქალო ჰიგიენური ბალიშები**



ქამრიანი ბალიში

მომზადებული სულემით შეზავებულ ხის ბამბისაგან.

ძალიან მოხერხებული შემოსაკრავია, მოწყობილის ქამრითურთ, ქალთა სახმარებლად რიგის დროს და მშობიარობის შემდეგ.

თორმეტი ცალი ბალიში ჰღირს 1 მან.

ქამრის ფასია 40 კაპ.—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება მოსკოვისა და პეტერბურგის ყველა სააფთიაქო და სადოსტაქრო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობია

ალექსანდრე ვენცელთან,

ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩაზედ, 3; მოსკოვს, მაშკოვის ვიწრო ქუჩაზედ, სოლენიკოვების სახლებში. (3—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

**დედა-ენა და ბუნების კარი**

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე